<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №5, 20.01.2006, მუხ. 42) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „g^1“ ქვეპუნქტი:

„g^1) აცხადებს იუსტიციის მსმენელთა მისაღებ კონკურსს და იღებს გადაწყვეტილებას იუსტიციის მსმენელების მიღების თაობაზე;“.

2. მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის თაობაზე ინფორმაცია, ასევე სხდომის დღის წესრიგი, ქვეყნდება სკოლის ვებ-გვერდზე სხდომამდე ერთი კვირით ადრე.“;

ბ) მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

4. დამოუკიდებელი საბჭო განსახილველ საკითხთან დაკავშირებით იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას წერილობითი ფორმით. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის მიმდინარეობის თაობაზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.“;

გ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4^1. დამოუკიდებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სხდომის ოქმთან ერთად, ქვეყნდება სკოლის ვებ-გვერდზე სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა.“.

3. მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა

Comment [A1]: მიზანშეუწონელია სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ იტვირთოს სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარება. დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობა, მისი არჩევის და საქმიანობის წესი, მისი მთავარი ფუნქცია, რომელიც განსაზღვრულია კანონით არ იძლევა იმის შესაძლებლობას რომ დამოუკიდებელმა საბჭომ შეასრულოს სამოსამართლო პროფესიაში შესვლის მსურველ კანდიდატთა „პირველადი ფილტრის“ საპასუხისმგებლო და შრომატევადი ფუნქცია.

ამ საკითხის ასეთი გადაწყვეტა მოითხოვს დამოუკიდებელი საბჭოს სრულ რეორგანიზაციას, რაც არ არის განხორციელებადი ამ საკანონმდებლო ცვლილებების ფარგლებში

შესაბამისად, ეს ცვლილება ამ ეტაპზე არ არის მიზანშეწონილი

რაოდენობის გათვალისწინებით. ინფორმაცია იუსტიციის მსმენელთა მისაღები კონკურსის თაობაზე და სკოლაში მისაღები იუსტიციის მსმენელების რაოდენობის შესახებ უნდა განთავსდეს სკოლის ვებ-გვერდზე.

4. დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილება სკოლაში მისაღები კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით სხვა დროს ჩატარების შესახებ უნდა გამოცხადდეს კონკურსის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე მაინც.“.

Comment [A2]: არ არის მიზანშეწონილი რომ სასამართლო სისტემაში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა შეისწავლოს და დაადგინოს სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ

4. მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. კონკურსის ჩატარება

1. სკოლაში მისაღებ კონკურსს ატარებს დამოუკიდებელი საბჭო.

2. კონკურსი უნდა წარიმართოს ობიექტურობისა და თანასწორობის პრინციპების სრული დაცვით.

3. დამოუკიდებელი საბჭო განიხილავს კონკურსში მონაწილე იუსტიციის მსმენელობის კანდიდატთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს. კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ამ დოკუმენტების შესაბამისობის შემთხვევაში იუსტიციის მსმენელობის კანდიდატები დამოუკიდებელ საბჭოში გაივლიან გასაუბრებას.

4. სკოლაში მისაღები კონკურსის ფორმა, იუსტიციის მსმენელობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი, იუსტიციის მსმენელად შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სკოლის წესდებით.“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 13^1 და 13^2 მუხლები:

„მუხლი 13^1. ინტერესთა შეუთავსებლობა

1. კონკურსის მიმდინარეობისას, იუსტიციის მსმენელობის კანდიდატი უფლებამოსილია დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს დამოუკიდებელი საბჭოს წევრის აცილება, თუ სახეზეა ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას.

2. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში, დამოუკიდებელი საბჭოს წევრი ვალდებულია წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი კანდიდატის იუსტიციის მსმენელად მიღების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3. დამოუკიდებელი საბჭოს წევრის აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო ხმათა უმრავლესობით. კენჭისყრაში არ მონაწილეობს პირი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება.

მუხლი 13^2. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით იქმნება საპრეტენზიო კომისია.

2. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

3. საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და წევრები.

4. საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

5. საპრეტენზიო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტად ითვლება თავმჯდომარის ხმა.

7. საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. საპრეტენზიო კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

8. კონკურსში მონაწილე პირებს საპრეტენზიო კომისიისათვის მიმართვის უფლება აქვთ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 4 დღისა. საპრეტენზიო კომისიის სახელზე შეტანილი განცხადება განიხილება 5 დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე შედგება ოქმი, რომელიც წარედგინება დამოუკიდებელ საბჭოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საბოლოო გადაწყვეტილებას, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, იღებს დამოუკიდებელი საბჭო.“.

Comment [A3]: ეს მუხლებიც უნდა იქნას ამოღებული კანონპროექტიდან ზემოთ მოყვანილი არგუმენტის გათვალისწინებით.

6. მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. იუსტიციის მსმენელის სტატუსი

იუსტიციის მსმენელი არის პირი, რომელიც კონკურსის გავლის შედეგად დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხა სკოლაში სასწავლებლად. იუსტიციის მსმენელს სკოლაში სწავლის პერიოდში გადაეცემა იუსტიციის მსმენელობის დამადასტურებელი მოწმობა.“

7. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 18[1] მუხლი:

„მუხლი 18[1]. იუსტიციის მსმენელის პერსონალური მონაცემები

1. იუსტიციის მსმენელს უფლება აქვს გაეცნოს მის შესახებ სკოლაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და ოფიციალურ დოკუმენტს და მიიღოს მათი ასლები.

2. პირს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლება უნარჩუნდება სკოლის დამთავრების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, დაინიშნა თუ არა იგი მოსამართლის თანამდებობაზე.

3. იუსტიციის მსმენელი უფლებამოსილია სკოლას მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების (მათ შორის, დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების) გასწორება, განახლება ან დამატება, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოთხოვნის წარდგენა, მისი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე და 23-ე მუხლებით დადგენილი წესით.

5. სკოლა ვალდებულია არ გაამჟღავნოს (მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობის გზით) იუსტიციის მსმენელის შესახებ ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტები მისი თანხმობის გარეშე, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.“.

8. 29-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 29. საკვალიფიკაციო სიის შედგენა**

1. სკოლაში სწავლების დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სკოლის დირექტორი დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას.

2. იუსტიციის მსმენელს ეცნობება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.“.

9. 31-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 31. დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების გათვალისწინება მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატურის შერჩევისას**

1. მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში მიიღება იუსტიციის მსმენელის რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში, აგრეთვე დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომელიც მოიცავს:

ა) თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას;

ბ) სტაჟირების გავლის შედეგების შეფასებას;

გ) სემინარული მუშაობის შედეგების შეფასებას;

დ) დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას;

ე) სტაჟირების ხელმძღვანელის შეფასებას;

ვ) სკოლის მასწავლებელთა შეფასებას;

ზ) იუსტიციის მსმენელის მიერ სტაჟირების გავლისას შედგენილი წერილობითი ანგარიშის და შესრულებული ნაშრომის შეფასებას;

თ) იუსტიციის მსმენელის დისციპლინას.

2. დამოუკიდებელი საბჭო შეფასებას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

3. დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა იუსტიციის მსმენელს.“.

10. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 31[1] მუხლი:

„მუხლი 31[1]. სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი

1. იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიის დამტკიცების შემდეგ, საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილ იუსტიციის მსმენელზე გაიცემა სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება, რომ მან გაიარა სკოლის სრული სასწავლო კურსი და ირიცხება იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის ფორმას ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო, სკოლის წესდებით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

1. იუსტიციის უმაღლესი სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაიცეს იმ პირებზეც, რომლებმაც იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული სასწავლო კურსი გაიარეს და იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილ იქნენ ამ კანონის ამოქმედებამდე.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში სკოლის დამოუკიდებელმა საბჭომ უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის წესდების ამ კანონთან შესაბამისობა.

3. ამ კანონის ძალაში შესვლამდე გამოცხადებული იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მისაღები კონკურსი დასრულდეს ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული წესით.

მუხლი 3

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი *გ. მარგველაშვილი*

განმარტებითი ბარათი

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს სასამართლო სისტემის გარდაქმნის პროცესში შემდგომი რეფორმების განხორციელების საჭიროება. ვინაიდან იუსტიციის უმაღლესი სკოლა სასამართლო სისტემის შემადგენელი კომპონენტია, რომელსაც მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია მოსამართლეობის კანდიდატთა მომზადების პროცესში, აუცილებელია დაიხვეწოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ~~უფრო კონკრეტულად, კანონპროექტის მიღება რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული: კანონპროექტის შემუშავების ერთ-ერთი მიზეზია პრობლემა, რომელიც უკავშირდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელობის კანდიდატებისათვის კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული გასაჩივრების მექანიზმის არარსებობას, მაშინ, როდესაც სკოლაში მსმენელად მიღება პირთა ფართო წრისათვის მოსამართლის თანამდებობის დაკავების ერთადერთი გზაა.~~

Comment [T4]: იხ ზემოთ შენიშვნა

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს იუსტიციის მსმენელთა უფლებების დარღვევის ფაქტები, რაც დაკავშირებულია მოსამართლეობის კანდიდატების არასაკმარისად ინფორმირებულობასთან, იუსტიციის მსმენლის სტატუსის განმსაზღვრელი ბუნდოვანი ნორმა და დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების შედგენასთან დაკავშირებული არასაკმარისი რეგულაციები. კანონპროექტის მიღების მიზეზია ჩამოთვლილ საკითხთა მოწესრიგებისა და უკეთესად დარეგულირების საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია უკეთ მოაწესრიგოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენლების მისაღები კონკურსის პროცედურა, კერძოდ, ამ პროცესში გამიჯნოს ერთმანეთისაგან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის კომპეტენცია, დაადგინოს კონკურსის ობიექტურად და თანასწორად წარმართვისა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის გამჭვირვალობა და მოაწესრიგოს ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევა.

კანონპროექტის მიზანია, ასევე, შექმნას ისეთი საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს როგორც იუსტიციის მსმენელობის კანდიდატების, ისე იუსტიციის მსმენელთა უფლებების დაცვას, კერძოდ, კანონპროექტის მიზანია იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელობის კანდიდატებს მიანიჭოს დამოუკიდებელი საბჭოს მიერ

მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა. ამ მიზნით შეიქმნება საპრეტენზიო კომისია, რომელიც განიხილავს მსმენელობის კანდიდატების განაცხადებს. საბოლოო გადაწყვეტილებას, საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, მიიღებს დამოუკიდებელი საბჭო.

გარდა აღნიშნულისა, იმისათვის, რომ გამოირიცხოს კანონის არასწორი განმარტების საფუძველზე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევები, მკაფიოდ განისაზღვრება იუსტიციის მსმენელის უფლება, გაეცნოს მის შესახებ იუსტიციის უმაღლეს სკოლაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციასა და ოფიციალურ დოკუმენტებს და მიიღოს მათი ასლები. ამასთან, პირს ეს უფლება შეუნარჩუნდება სკოლის დამთავრების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, დაინიშნება თუ არა იგი მოსამართლის თანამდებობაზე.

კანონპროექტი აგრეთვე მიზნად ისახავს დახვეწოს იუსტიციის მსმენლის სტატუსის განმსაზღვრელი ნორმა, დაადგინოს იუსტიციის მსმენლისათვის საკვალიფიკაციო სიაში მისი რიგითი ნომრის შეტყობინების, ისევე, როგორც დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების ეგზემპლარის მისთვის გადაცემის ვალდებულება და დახვეწოს დამოუკიდებელი საბჭოს მიერ კანდიდატის შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

~~კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად მსმენელთა მისაღებ კონკურსს გამოაცხადებს და გადაწყვეტილებას სკოლის მსმენელების მიღების თაობაზე მიიღებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო. აღნიშნულის მიზანია უზრუნველყოს მომავალში მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში კანდიდატთა თანასწორობა და ამ პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ობიექტურობა, ვინაიდან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელთა მიღების დროს აღნიშნულ კანდიდატებზე არჩევანს უკვე აკეთებს, რითაც შესაძლებელია იმ პირებთან შედარებით, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სწავლისაგან, არაპირდაპირი უპირატესობა კონკურსის მიმდინარეობისას მიენიჭოთ იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელებს. აქედან გამომდინარე, კანონპროექტით იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მსმენელთა მიღების პროცესს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ჩამოშორდება. სკოლაში მისაღებ კონკურსს ჩაატარებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო.~~

~~დამოუკიდებელი საბჭო განიხილავს კონკურსში მონაწილე მსმენელობის კანდიდატთა განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტებს. კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ამ დოკუმენტების შესაბამისობის შემთხვევაში მსმენელობის კანდიდატები დამოუკიდებელ საბჭოში გაივლიან გასაუბრებას. სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი საბჭო მიიღებს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. დამოუკიდებელი საბჭო ვალდებული იქნება გადაწყვეტილება სკოლაში მისაღები~~

Formatted: Space Before: 6 pt

~~კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით სხვა დროს ჩატარების შესახებ გამოაცხადოს კონკურსის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე მაინც.~~

~~იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელობის კანდიდატთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით კანონპროექტი აწესრიგებს ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევას. კონკურსის მიმდინარეობისას, მსმენელობის კანდიდატი უფლებამოსილი იქნება დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს დამოუკიდებელი საბჭოს წევრის აცილება, თუ სახეზე იქნება ინტერესთა შეუთავსებლობა, კერძოდ, გარემოება, რომელიც საეჭვოს ხდის ამ წევრის ობიექტურობას, დამოუკიდებლობას ან/და მიუკერძოებლობას. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში, დამოუკიდებელი საბჭოს წევრი ვალდებული იქნება წინასწარ განაცხადოს ამის შესახებ და არ მიიღოს მონაწილეობა შესაბამისი კანდიდატის მსმენელად მიღების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. დამოუკიდებელი საბჭოს წევრის აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს დამოუკიდებელი საბჭო ხმათა უმრავლესობით.~~

~~კანონპროექტით იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო ვალდებული გახდება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით, მათ შორის, სკოლის მსმენლების მიღების თაობაზე.~~

წარმოდგენილი კანონპროექტით უზრუნველყოფილი იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის მეტი გამჭვირვალობა, კერძოდ, დამოუკიდებელი საბჭო ვალდებული იქნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს სხდომის თაობაზე ინფორმაცია და სხდომის დღის წესრიგი სხდომამდე ერთი კვირით ადრე, ხოლო მიღებული გადაწყვეტილება, სხდომის ოქმთან ერთად, სხდომის გამართვიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში. იუსტიციის უმაღლესი სკოლის ვებ-გვერდზე სავალდებულო იქნება ასევე მსმენელთა მისაღები კონკურსის თაობაზე და სკოლაში მისაღები მსმენელების რაოდენობის შესახებ ინფორმაციის განთავსება.

~~კანონპროექტით „იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონს ემატება 13[2] მუხლი, რომელიც კონკურსის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით, ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიის შექმნას. საპრეტენზიო კომისიის წევრთა რაოდენობას და შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.~~

იცვლება კანონის მე-15 მუხლიც, რომელიც ადგენს იუსტიციის მსმენელის სტატუსს. კერძოდ, მკაფიოდ განისაზღვრება, რომ იუსტიციის მსმენელი არის პირი, რომელიც კონკურსის გავლის შედეგად დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხა სკოლაში სასწავლებლად, მიუხედავად იმისა, მას გადაეცა თუ არა იუსტიციის მსმენელის დამადასტურებელი მოწმობა. მსმენლის სტატუსის მოსაპოვებლად საკმარისი იქნება კონკურსის გავლის შედეგად დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით მისი სკოლაში სასწავლებლად ჩარიცხვა.

კანონს ემატება 18[1] მუხლი, რომელიც აწესრიგებს იუსტიციის მსმენლის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მსგავსად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის

Comment [A5]:

Comment [A6]: იხ. ზემოთ შენიშვნა

Comment [A7]: იხ. ზემოთ შენიშვნა

Comment [A8]: იხ. ზემოთ შენიშვნა

შესახებ“ საქართველოს კანონისა, კანონპროექტი მიუთითებს, რომ იუსტიციის მსმენელს უფლება ექნება გაეცნოს მის შესახებ სკოლაში არსებულ ნებისმიერ ინფორმაციას და ოფიციალურ დოკუმენტს და მიიღოს მათი ასლები. მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ პირს ეს უფლება შეუნარჩუნდება სკოლის დამთავრების შემდეგაც, მიუხედავად იმისა, დაინიშნება თუ არა იგი მოსამართლის თანამდებობაზე. კანონის 18[1] მუხლით დადგენილ შემთხვევებში იუსტიციის მსმენელი უფლებამოსილია სკოლას მოსთხოვოს მისი პერსონალური მონაცემების (მათ შორის, დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების) გასწორება, განახლება ან დამატება. ამასთან, სკოლა ვალდებული იქნება არ გაამჟღავნოს (მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომობის გზით) იუსტიციის მსმენელის შესახებ ინფორმაცია და ოფიციალური დოკუმენტები მისი თანხმობის გარეშე, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

29-ე მუხლის ახალი რედაქცია ადგენს, რომ იუსტიციის მსმენელს ეცნობება მისი რიგითი ნომერი იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში, 31-ე მუხლით კი დგინდება იუსტიციის მსმენელისათვის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების ეგზემპლარის გადაცემის ვალდებულება, ასევე აღინიშნება, რომ დამოუკიდებელი საბჭო შეფასებას ადგენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

კანონს ემატება ახალი 31[1] მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას იმ პირებზე, რომელთაც გაიარეს სკოლის სრული სასწავლო კურსი და ირიცხებიან იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში. სკოლის სასწავლო კურსის დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი, მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა გაიცეს იმ პირებზეც, რომლებიც საკვალიფიკაციო სიაში შეყვანილ იქნენ ამ კანონის ამოქმედებამდე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ზ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ზ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.

„იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ“ საქართველოს კანონის იმ მუხლების მოქმედი სრული რედაქცია, რომლებშიც წარმოდგენილი კანონპროექტით შედის ცვლილება

მუხლი 3. სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს ფორმირების წესი და უფლებამოსილება

1. სკოლის საქმიანობის მიმართულებებს განსაზღვრავს, კოორდინაციას უწევს და მათ აღსრულებას ზედამხედველობს სკოლის დამოუკიდებელი საბჭო (შემდგომში – დამოუკიდებელი საბჭო), რომელიც იქმნება 6 წევრის შემადგენლობით.

2. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და ამ კანონით დადგენილი დამოუკიდებელი საბჭოს წევრის ფუნქციების განხორციელებისათვის საკმარისი კვალიფიკაცია და პროფესიული გამოცდილება.

2[1]. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

3. დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს, რომელიც იმავდროულად დამოუკიდებელი საბჭოს წევრია, თავისი წევრებისგან 3 წლის ვადით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია. ერთი და იგივე პირი დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

4. დამოუკიდებელი საბჭოს 5 წევრს, რომელთაგან 1 საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრია, ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მიმართვის საფუძველზე, 3 წლის ვადით.

5. (ამოღებულია).

6. დამოუკიდებელი საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს.

7. დამოუკიდებელი საბჭო:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის წესდებას;

ბ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტის შედგენის წესს;

გ) ისმენს სკოლის დირექტორის ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის მუშაობის შესახებ;

დ) სკოლის დირექტორის წარდგინებით:

დ.ა) ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს;

დ.ბ) ამტკიცებს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარადგენს სკოლის ბიუჯეტს;

დ.გ) (ამოღებულია);

დ.დ) ამტკიცებს სკოლის საშტატო განრიგს;

დ.ე) (ამოღებულია);

დ.ვ) ამტკიცებს სახელფასო ფონდსა და შრომის ანაზღაურების ოდენობას, ასევე იუსტიციის მსმენელის სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობას;

დ.ზ) ირჩევს დირექტორის მოადგილეს და სტაჟირების ხელმძღვანელს;

დ.თ) ამტკიცებს სასწავლო (თეორიული კურსი და სემინარული მუშაობა), სტაჟირებისა და გადამზადების პროგრამებს;

დ.ი) ამტკიცებს თეორიული კურსისა და სკოლის დამამთავრებელი გამოცდების პროგრამებს;

დ.კ) ამტკიცებს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას;

ე) ახორციელებს ამ კანონითა და სკოლის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულ პირთა დამოუკიდებელ საბჭოში საქმიანობის ანაზღაურების საკითხი წყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 4. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა

1. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა მოიწვევა წელიწადში არანაკლებ ორჯერ. სხდომას თავმჯდომარეობს დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე.

2. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომას ესწრება სკოლის დირექტორი, რომელიც სარგებლობს სათათბირო ხმის უფლებით.

3. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრე დამოუკიდებელი საბჭოს წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს ენიჭება უპირატესი ხმის უფლება.

4. დამოუკიდებელი საბჭოს დასკვნა და გადაწყვეტილება ფორმდება ოქმების სახით, რომლებსაც ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

5. დამოუკიდებელი საბჭოს სხდომის მომზადების, მოწვევისა და წარმართვის წესი განისაზღვრება დამოუკიდებელი საბჭოს დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

მუხლი 11. კონკურსის წესით იუსტიციის მსმენელად მიღება

1. სკოლაში იუსტიციის მსმენელად მიღება ხდება კონკურსის წესით.

2. სკოლაში მისაღები კონკურსი, როგორც წესი, ტარდება წელიწადში ორჯერ – მაისსა და ოქტომბერში.

3. სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სკოლაში მისაღები კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით სხვა დროს ჩატარების შესახებ უნდა გამოცხადდეს კონკურსის ჩატარებამდე ერთი თვით ადრე მაინც.

მუხლი 13. კონკურსის ჩატარება

1. სკოლაში მისაღებ კონკურსს ატარებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

2. სკოლაში მისაღები კონკურსის ფორმა, იუსტიციის მსმენელობის კანდიდატთა რეგისტრაცია, იუსტიციის მსმენელად შერჩევის კრიტერიუმები და კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სკოლის წესდებით.

მუხლი 15. იუსტიციის მსმენლის სტატუსი

იუსტიციის მსმენელი არის პირი, რომელიც კონკურსის გავლის შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხა სკოლაში სასწავლებლად და მიიღო იუსტიციის მსმენლის დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 29. საკვალიფიკაციო სიის შედგენა

სკოლაში სწავლების დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სკოლის დირექტორი დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას.

მუხლი 31. დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების გათვალისწინება მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატურის შერჩევისას

მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში მიიღება იუსტიციის მსმენელის რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში, აგრეთვე დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება, რომელიც მოიცავს:

ა) თეორიული კურსის დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას;

ბ) სტაჟირების გავლის შედეგების შეფასებას;

გ) სემინარული მუშაობის შედეგების შეფასებას;

დ) დამამთავრებელი გამოცდის შედეგების შეფასებას;

ე) სტაჟირების ხელმძღვანელის შეფასებას;

ვ) სკოლის მასწავლებელთა შეფასებას;

ზ) იუსტიციის მსმენელის მიერ სტაჟირების გავლისას შედგენილი წერილობითი ანგარიშის და შესრულებული ნაშრომის შეფასებას;

თ) იუსტიციის მსმენელის დისციპლინას.